

შპს ავია ჯი ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	9
5. ძირითადი საშუალებები	9
6. სავაჭრო ვალდებულებები.....	10
7. გაცემული სესხები.....	10
8. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	11
9. ხელფასები და სხვა სარგებელი	11
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11
11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
ფული და ფულის ექვივალენტები	4	315,890	503,932	174,139
სასაქონლო მატერიალური მარაგები		45	45	45
სავაჭრო მოთხოვნები		-	-	-
გადახდილი ავანსები		62,958	33,072	-
გაცემული სესხები	7	345,029	-	-
საგადასახადო აქტივი		6,790	8,231	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		730,712	545,280	174,184
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	73,455	78,384	75,560
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		73,455	78,384	75,560
სულ აქტივები		804,167	623,664	249,744
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6	82,604	45,574	53,922
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		6,402	-	-
მიღებული ავანსები		1,500	1,738	506
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	8,069
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3,456	1,458	2,122
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		93,962	48,770	64,619
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები		-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		93,962	48,770	64,619
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		710,205	574,894	185,125
სულ საკუთარი კაპიტალი		710,205	574,894	185,125
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		804,167	623,664	249,744

დირექტორი



სალომე თელიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
ფული და ფულის ექვივალენტები	4	315,890	503,932	174,139
სასაქონლო მატერიალური მარაგები		45	45	45
სავაჭრო მოთხოვნები		-	-	-
გადახდილი ავანსები		62,958	33,072	-
გაცემული სესხები	7	345,029	-	-
საგადასახადო აქტივი		6,790	8,231	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		730,712	545,280	174,184
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	73,455	78,384	75,560
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		73,455	78,384	75,560
სულ აქტივები		804,167	623,664	249,744
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6	82,604	45,574	53,922
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		6,402	-	-
მიღებული ავანსები		1,500	1,738	506
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	8,069
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3,456	1,458	2,122
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		93,962	48,770	64,619
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები		-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		93,962	48,770	64,619
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		710,205	574,894	185,125
სულ საკუთარი კაპიტალი		710,205	574,894	185,125
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		804,167	623,664	249,744

დირექტორი ----- სალომე თელიაშვილი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	8	11,423,459	10,824,786
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(10,021,616)	(9,448,841)
საერთო მოგება		1,401,843	1,375,945
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(373,035)	(364,952)
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	(547,219)	(403,729)
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი		(24,717)	(21,643)
სხვა შემოსავლები		1,048	512
სხვა ხარჯები		(2,994)	(285)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		454,926	585,848
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(27,657)	(30,346)
მოგება დაბეგვრამდე		427,269	555,502
მოგების გადასახადი		(43,793)	(24,860)
წმინდა მოგება		383,476	530,642

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	-	185,125	185,125
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
დივიდენდის გაცემა		(140,873)	(140,873)
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	530,642	530,642
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	574,894	574,894
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
დივიდენდის გაცემა		(248,165)	(248,165)
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	383,476	383,476
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	710,205	710,205

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ავია ჯი დაფუძნდა 2020 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ახალციხის რაიონი, ვალე, ს. კაკაჩიშვილის ქ.№ 7. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 424073308. კომპანიის დამფუძნებელია სალომე თელიაშვილი (პ/ნ: 47001040077) – 100% წილით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავიაბილეთების საძიებო სისტემით მომხმარებლისთვის საშუაშვლო მომსახურების გაწევა ავიაკომპანიების ბილეთების შესაძენად. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი სალომე თელიაშვილი (პ/ნ: 47001040077), რომელიც ასევე არის 100%-ანი წილის მფლობელი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო

ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	79,199	234,159
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	236,691	269,773
სულ	315,890	503,932

5. ძირითადი საშუალებები

2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	73,077	18,530	91,607
ავეჯი და სხვა ინვენტარი	43,261	1,259	44,520
სულ	116,338	19,789	136,127

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	24,669	15,921	40,590
ავეჯი და სხვა ინვენტარი	13,286	8,796	22,082
სულ	37,955	24,717	62,672

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	57,523	15,554	73,077
ავეჯი და სხვა ინვენტარი	34,349	8,912	43,261
სულ	91,872	24,466	116,338

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	11,176	13,493	24,669
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5,136	8,150	13,286
სულ	16,312	21,643	37,955

6. სავაჭრო ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
არარეზიდენტი პირების მიმართ	42,897	20,717
რეზიდენტი პირების მიმართ	39,707	24,857
სულ	82,604	45,574

7. გაცემული სესხები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთი წარმოდგენილია ქვემოთ:

გაცემული სესხები	31-12-24	31-12-23
არარეზიდენტი პირები	345,029	0
სულ	345,029	0

8. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავიაბილეთების საძიებო სისტემით მომხმარებლისთვის საშუაშვლო მომსახურების გაწევა ავიაკომპანიების ბილეთების შესაძენად.

საერთო მოგების გაანგარიშება	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	11,423,459	10,824,786
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10,021,616)	(9,448,841)
საერთო მოგება	1,401,843	1,375,945

9. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
სახელფასო ხარჯი	515,662	393,171
საპენსიო და სხვა სარგებელი	31,557	10,558
სულ	547,219	403,729

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლებისთვის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
მიწოდების ხარჯები	40,397	195,227
იჯარის ხარჯი	65,615	71,454
კომუნალური მომსახურების ხარჯი	150,685	36,949
კომპიუტერის ხარჯი	1,124	24,768
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	0	7,572
საბანკო ხარჯი	2,960	6,698
დაცვის ხარჯი	0	2,667
საკანცელარიო ხარჯი	1,126	2,266
საბუღალტრო და საკონსულტაციო ხარჯი	40,277	1,804

რემონტის ხარჯი	137	1,395
მარკეტინგის ხარჯი	52,000	832
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	10,345	662
მობილურის მომსახურების ხარჯი	3,736	322
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	4633	12,336
სულ	373,035	364,952

11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 და 2023 წლებში დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქცია არ განხორციელებულა.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.